

შპს “კატო” 405006755

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (არააუდირებული)

შპს “კატო”

ს/კ **405006755**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (არააუდირებული) 2024 წლის 31
დეკემბერს დასრულებული სწლისთვის

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება კონსოლიდირებული (არააუდირებული)	6
1. ინფორმაცია კომპანიის ბიზნეს საქმიანობის შესახებ.	7
2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი და შესაბამისობა	7
3. კომპანიის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	8
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.	8
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	8
ძირითადი საშუალებები.	8
არამატერიალური აქტივები.	9
სასაქონლო მატერიალური მარაგები.	10
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები.....	10
სესხები.....	10
საბიუჯეტო გადასახადები	10
კაპიტალი	11
ამონაგების აღიარება	11
სხვა შემოსავალი	11
ხარჯების აღიარება	11
ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები.....	11
აქტივების და ვალდებულების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანის მიხედვით	12
შენიშვნები	13
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების შენიშვნები	13
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შენიშვნები	14
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შენიშვნები	15

შპს “კატო” 405006755

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (არააუდირებული)

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		2024	2023
	შენიშვნა	(არააუდირებული)	ინდივიდუალური (არააუდირებული)
ამონაგები მომსახურების და საქონლის რეალიზაციიდან	4	2,286,599	1,139,074
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	-1,654,031	-808,903
საერთო მოგება		632,568	330,171
მიწოდების და კომერციის ხარჯები	6	-60,576	-33,994
სხვა საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	7	-61,847	-20,099
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		510,146	276,078
მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან	8	29,055	8,284
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		3,518	0
საპროცენტო შემოსავალი		47,167	51,362
საპროცენტო ხარჯები	9	-25,069	0
ცვეთა და ამორტიზაცია		-9,858	0
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		554,960	335,724
მოგების გადასახადი		0	0
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		554,960	335,724
სათაო საწარმოზე მისაკუთვნიებული		570,675	0
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებისთვის		-15,716	335,724

ფინანსური ანგარიშგება დამოუკიდებელია და ხელმოწერილია
მენეჯმენტის მიერ 2025 წლის 29 იანვარს:



 დამამტკიცებელი
 დირექტორი

შპს “კატო” 405006755

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (არააუდირებული)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024 (არააუდირებული)	31 დეკემბერი 2023 (არააუდირებული)	31 დეკემბერი 2022 (არააუდირებული)
			ინდ	ინდ
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	2,007,925	825,232	510,500
არამატერიალური აქტივები		-	-	-
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში		-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,007,925	825,232	510,500
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	11	144,376	100,954	74,761
გაცემული სესხები	12	67,078	423,189	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	941,717	858,516	585,566
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	14	154,639	243,288	10,717
სულ მიმდინარე აქტივები		1,307,810	1,625,947	671,044
სულ აქტივები		3,315,735	2,451,180	1,181,544
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		1	-	1
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		1,896,315	1,325,640	989,915
არამაკონტროლებელი წილი	15	299,092		
ხელსაყრელი შესყიდვა	15	12,657		
სულ კაპიტალი		2,208,066	1,325,640	989,916
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	18	-	970,370	152,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	970,370	152,000
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	16	46,547	155,170	39,628

შპს “კატო” 405006755

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (არააუდირებული)

მოკლევადიანი სესხები	17	1,061,122	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,107,669	155,170	39,628
სულ ვალდებულებები		1,107,669	1,125,540	191,628
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3,315,735	2,451,180	1,181,544



შპს “კატო” 405006755

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (არააუდირებული)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

კონსოლიდირებული (არააუდირებული)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწედო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მფლობელი კომპანიის კაპიტალი	არამაკონტროლებელი წილი	სულ
31 დეკემბერი 2022	1	989,915	989,916	-	989,916
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		335,724	335,724		335,724
31 დეკემბერი 2023	1	1,325,639	1,325,640	-	1,325,640
გაერთიანების თარიღისთვის არსებული არამაკონტროლებელი წილი			-	314,808	314,808
ხელსაყრელი შესყიდვა		12,657	12,657		12,657
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		570,675	570,675	(15,716)	554,960
31 დეკემბერი 2024	1	1,908,972	1,908,973	299,092	2,208,066

ფინანსური ანგარიშგება დამოუკიდებელია და
ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ 2025 წლის
29 დეკემბერს:

405006755
ლევან კარაძე
GEORGIA KATO

შპს “კატო” 405006755

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (არააუდირებული)

1. ინფორმაცია კომპანიის ბიზნეს საქმიანობის შესახებ.

კატო (შემდგომში კომპანია) რომელიც წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, დაარსდა 2013 წლის 29 აგვისტოს და არის დამოუკიდებელი ბიზნეს ერთეული. მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 405006755.

შპს კატოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ქართული თხილისა და კაკლის ადგილობრივი და არადგილობრივი რეალიზაცია. კომპანია ძირითადად ყიდულობს მზა პროდუქციას ადგილობრივ ბაზარზე და ყიდის. კომპანიაში დასაქმებულია 4 თანამშრომელი.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ოზურგეთის რაიონი, სოფელი დვაბზუ.

2024 წლის 27 სექტემბერს კომპანიამ მოახდინა შპს აერკომპანის (ს/კ **239890766**) წლის შესყიდვა. შესყიდული წილის ოდენობამ შეადგინა 51 %.

შესაბამისად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 31 დეკემბრის მდგომარეობით „მოიცავს დედა კომპანიისა და შვილობილი კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებს სრულად, ხოლო მოგება-ზარალის ანგარიშში ასახულია შვილობილი კომპანიის შემოსავლები და ხარჯები შეძენის თარიღიდან.

შედარებითი პერიოდის მონაცემები (31 დეკემბერი 2023) მოიცავს მხოლოდ დედა კომპანიას, ვინაიდან აღნიშნულ თარიღში ჯგუფი ჯერ კიდევ არ არსებობდა. შესაბამისად, მიმდინარე წლის კონსოლიდირებული მაჩვენებლები შედარებით პერიოდთან შეუსაბამოა ჯგუფის სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებული მიზეზებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის და სრული საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან წილის მფლობელია ირაკლი მოწერელია.

2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი და შესაბამისობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდს.

აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, რომლის შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, და მათზე დაყრდნობით ამზადებს ანგარიშს.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებას და კონსოლიდირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

შვილობი საწარმოა არის კომპანია რომელიც იმყოფება ან/და ექცევა დედა კომპანიის, ჯგუფის კონტროლის ქვეშ. კომპანია იმყოფება სხვა კომპანიის კონტროლის ქვეშ, როდესაც აშკარად სახეზეა სხვა საწარმოს მიერ სამეურნეო და ფინანსური პოლიტიკის მართვა და მისი კონტროლი, ამ კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. კონტროლი არსებობს, მაშინ როდესაც სათაო საწარმო აკონტროლებს შვილობილი საწარმოს ხმათა უმრავლესობას, ნახევარზე მეტს. თუ აშკარად სახეზე არ

შპს “კატო” 405006755

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (არააუდირებული)

არის ფაქტი, როდესაც ფაქტობრივი კონტროლი კომპანიის ფინანსურ და სამეურნეო პოლიტიკაზე არ არსებობს.

თუ შეძენილი კომპანიის წმინდა აქტივის ღირებულების შეძენილი წილის შესაბამისი ოდენობა აჭარბებს კომპენსაციის სამართლიან ღირებულებას, მაშინ აღიარდება გუდვილი საწარმოთა გაერთიანებისას. სხვა შემთხვევაში ადგილი აქვს ხელსაყრელ შესყიდვას და მისგან მიღებული სარგებელი/შემოსავალი აღიარდება პირდაპირ მოგება-ზარალში.

3. კომპანიის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

საქართველოს ეროვნული ვალუტა ლარი არის კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან წარმოქმნილი აქტივებისა და ვალდებულებების გაანგარიშება ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლის კურსის შესაბამისად შესაბამის უცხოურ ვალუტასთან მიმართებით. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. მონეტარული მოხლები გადაანგარიშებულია და წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდის ბოლო დღის გაცვლითი კურსის შესაბამისად, არაფულადი მოხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებულია შემდეგი კურსები:

	საქართველოს ერ. ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ ფულად სახსრებს ან/და დეპოზიტებს, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული მომსახურების ან/და საქონლის მიწოდების საფუძველზე მომხმარებლებისგან და მყიდველებისგან მისაღები თანხები, რომელთა მიღება მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან უფრო მცირე პერიოდში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. კომპანიას არ აქვს შექმნილი საექვო და უიმედო ვალების რეზერვი რადგან არ არსებობს ობიექტური გარემოება, რომ რომ კომპანია ვერ შეძლებს არსებული სავაჭრო მოთხოვნების მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

• **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. ხოლო შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და

შპს “კატო” 405006755

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (არააუდირებული)

გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება/ზარალი რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** დანახარჯები, რომელიც გაიწევა აქტივის ფუნქციონირების განმავლობაში ემატება აქტივის მიმდინარე ღირებულებას (ან აღიარდება ცალკე აქტივად), თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს ამ აქტივიდან/გაუმჯობესებიდან, ამასთან მისი ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელი უნდა იყოს საიმედოდ. შეკეთების და რემონტის ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმპერიოდში, როცა მოხდება მათი გაწევა.

- **ცვეთა და მომსახურების ვადები.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადა გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ზემოაღნიშნული დაშვების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა შეიცვალოს.

ძირითადი საშუალებაზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული მიზნების შესასრულებლად და მასზე ცვეთის დარიცხვა წყდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მენეჯმენტმა განიზრახა მისი გაყიდვა და ამისთვის გადადგა აქტიური ნაბიჯები, ან/და ადგილი აქვს მისი აღიარების შეწყვეტას.

ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ცვეთა არ არიცხება მიწას და დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს.

კომპანიის კუთვნილი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი

შენობა-ნაგებობები

მანქანა-დანადგარები

ოფისის აღჭურვილობა

სხვა ძირითადი საშუალებები

სასარგებლო
მომსახურების
ვადა-წელი

10

10

5

3-5

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია

შპს “კატო” 405006755

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (არააუდირებული)

ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

სასაქონლო მატერიალური მარაგები.

კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულებაში შეიტანება შესყიდვისა და ყველა ის დანახარჯი, რომელიც გაიწევა მათ ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის კომპანია ახდენს მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების განსაზღვრას და საჭიროების შემთხვევაში, თუკი ეს უკანასკნელი ნაკლებია თვითღირებულებაზე, მარაგებს წარმოადგენს ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით. .

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები.

სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები.

სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საბიუჯეტო გადასახადები

მოგების გადასახადი - საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში იბეგრება განსხვავებული წესით. კერძოდ იბეგრება მხოლოდ განაწილებული მოგება და ისიც მხოლოდ იმ პარტნიორებზე, რომლებიც წარმოადგენენ ფიზიკურ პირს ან/და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. მოგების გადასახადის განაკვეთია 15 %. დივიდენდების გადახდით /მოგების განაწილებით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, რა პერიოდში მოხდა მათი ანაზღაურება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების/ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც სსკ-ს მიერ განიხილება მოგების განაწილებად და იბეგრება გარიგების დადების პერიოდში მოგების გადასახადის 15 % განაკვეთით (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯები, არარეზიდენტ პირებთან განხორციელებული გარკვეული გარიგებები და ა.შ.). ამ ტიპის ოპერაციებზე დარიცხული მოგების გადასახადი აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების წარმოდგენილია სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში.

საპენსიო მოსაკრებელი.

2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო სისტემაში ჩართული დასაქმებული პირი

შპს “კატო” 405006755

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (არააუდირებული)

სახელმწიფო ბიუჯეტში იხდის მისი სახელფასო ანაზღაურების 2%-ს; კომპანია ვალდებულია დააკლოს აღნიშნული 2 პროცენტი თანამშრომლის ხელფასიდან და მოახდინოს მისი ჩარიცხვა ბიუჯეტში. ამასთან ერთად, დამსაქმებელი თავის მხრივ, დაქირავებულის სასარგებლოდ დამატებით იხდის 2%-ს რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი.

სსკ-ს მოთხოვნების შესაბამისად, საქონლის ან მომსახურების მიწოდებიდან წარმოქმნილი გადასახდელი დღგ გადასახდელია ბიუჯეტში მაშინ და იმ საანგარიშო პერიოდის სავადო თარიღში, რომელ საანგარიშო პერიოდშიც განხორციელდა შემდეგი ოპერაციები: მყიდველმა, საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ, (რომელიც იბეგრება დღგ-ს გადასახადით) მიწოდებამდე მიიღო კლიენტებისგან კომპენსაცია სრულად ან/და ნაწილობრივ ან/და განახორციელა საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ის 18 % იანი განაკვეთით დაბეგვრას ან გაწეულ ხარჯებზე შესაძლებელია გადახდილი დღგ-ს ჩათვლა, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება

ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურების ან/და საქონლის მიწოდების სანაცვლოდ მისაღები თანხის ოდენობას, კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ განხორციელებული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება იმ შემთხვევაში თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რაც გამოიხატება კომპანიის აქტივების შემცირებით ან/და ვალდებულების ზრდით. და რომელა შეფასებაც საიმედოდაა შესაძლებელი.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც

შპს “კატო” 405006755

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (არააუდირებული)

გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

აქტივების და ვალდებულების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანის მიხედვით

კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე და გრძელვადიანი კატეგორიად.

. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიწულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

შენიშვნები

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების შენიშვნები

		2024	2023
		(არააუდირებული)	(არააუდირებული)
4	ამონაგები მომსახურების და საქონლის რეალიზაციიდან		
	ამონაგები თხილის რეალიზაციიდან	2,244,586	1,139,074
	მომსახურების გაწევიდან (იჯარა)	2,119	
	კონსულტაცია ლოჯისტიკის და ხარისხის კონტროლის შესახებ	39,894	
		2,286,599	1,139,074
5	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		
	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	1,620,473	807,592
	პირდაპირი სახელფასო დანახარჯები	31,665	1,209
	მცირეფასიანი ინვენტარის ხარჯები	79	102
	სხვა საოპერაციო დაპირდაპირი ხარჯები	1,813	
		1,654,031	808,903
6	მიწოდების და კომერციის ხარჯები		
	ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	51,577	
	რეალიზაციის ხარჯები	8,999	33,994
		60,576	33,994
7	სხვა საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები		
	ადმინისტრაციის ხელფასები	9,142	-
	საიჯარო ქირის ხარჯები	2,966	5,085
	კომუნიკაცია და კომუნალური დანახარჯები	298	-
	საკონსულტაციო ხარჯები	13,100	7,200
	სხვა საგადასახადო ხარჯი	17,249	3,630
	საბანკო ხარჯები	2,147	740
	სხვა საერთო ხარჯი	16,945	3,443
		61,847	20,099
8	მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან		
	შემოსავალი დადებითი საკურსო ცვლილებიდან	64,412	17,092
	ხარჯი უარყოფითი საკურსო ცვლილებიდან	(35,356)	(8,809)
		29,055	8,284

შპს “კატო” 405006755

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (არააუდირებული)

9	საპროცენტო ხარჯები		
	საფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტები	150,000	149,589
	სესხის თანადაფინანსება	(124,932)	(149,589)
		25,069	-
	საპროცენტო შემოსავლები შედგება რეზიდენტ კომპანიებზე გაცემულ სესხზე დარიცხული საპროცენტო სარგებელისგან		

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შენიშვნები

10. ძირითადი საშუალებების უწყისი კონსოლიდირებული						
შემენის ღირებულება	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენიშნული ნაკვეთები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სულ
31 დეკემბერი 2022	510,500	-	-	-	-	510,500
შემოსვლა წლის განმავლობაში	67500	106,692	10000	130,540		314,732
გასვლა წლის განმავლობაში						-
31 დეკემბერი 2023	578,000	106,692	10,000	130,540	-	825,232
შემოსვლა წლის განმავლობაში		271,470		399,156	1,424	672,049
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	-	-	-	-
შემენილი შვილობილი საწარმოს ძირ. საშუალებები	23,245		443,741	53,515	-	520,501
31 დეკემბერი 2024	601,245	378,162	453,741	583,211	1,424	2,017,783
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი 2022	-	-	-	-	-	-
წლის დარიცხული ცვეთა	0	0	0	0	0	-
გასული ძირ. საშუალებების დაგრ. ცვეთა	0	0	0	0	0	-
31 დეკემბერი 2023	-	-	-	-	-	-
წლის დარიცხული ცვეთა			(8,254)	(1,580)	(24)	(9,858)
გასული ძირ. საშუალებების დაგრ. ცვეთა						-
31 დეკემბერი 2024	-	-	(8,254)	(1,580)	(23,73)	(9,858)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2022	510,500	-	-	-	-	510,500
31 დეკემბერი 2023	578,000	106,692	10,000	130,540	-	825,232
31 დეკემბერი 2024	601,245	378,162	445,487	581,630	1,400	2,007,925

შპს “კატო” 405006755

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (არააუდირებული)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შენიშვნები

		2024	2023
		(არააუდირებული)	(არააუდირებული)
11	სასაქონლო-მატერიალური მარაგები		
	ნედლეული და მასალები	16,496	-
	დაუმთავრებელი წარმოება	114,377	100,953.85
	მზა პროდუქცია	12,854	-
	სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	649	-
		144,376	
12	გაცემული სესხები წარმოადგენს რეზიდენტ კომპანიებზე გაცემულ სესხებს		
13	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
	სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები	933,993	178,815
	მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	(4,852)	-
	მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	8,627	628,339
	მოთხოვნები გაცემული სესხებიდან	3,949	423,189
		941,717	1,230,343
14	ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3,347	1,680
	უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	151,292	241,608
		154,639	243,288
15	არამაკონტროლებელი წილი და ხელსაყრელი შესყიდვა		
	შემენილი კომპანიის წმ. აქტივი შემენის თარიღისთვის	642,466	
	არამაკონტროლებელი წილი 49%	314,808	
	შემენილი წილის 51 % ის წმ. ღირებულება (სხვა ცვლილებები კაპიტალში – შვილობილი კომპანიის შემენის შედეგად წარმოქმნილი ეფექტები)	327,657	
	წილის ნასყიდობის საფასური	315,000	
	ხელსაყრელი შესყიდვა	12,657	
16	სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		
	კრედიტორული დავალიანებები	36,836	125,065
	გადასახდელი ხელფასები	5,625	
	საგადასახადო ვალდებულებები	3,729	30,104
	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	357	

შპს “კატო” 405006755

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (არააუდირებული)

		46,547	155,170
17	მოკლევადიანი სესხები		
	ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხი ძირითადი საშუალებების შესაძენად ეროვნულ ვალუტაში	1,061,122	
		1,061,122	-
18	გრძელვადიანი სესხები		
	ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხი ძირითადი საშუალებების შესაძენად ეროვნულ ვალუტაში	-	970,370
		-	970,370